სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080148909177421

№ 2390 29 / ივლისი / 2021 წ.

შპს „ოთ-მა ფურნიტურეს“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“;

ტენდერის ნომერი: SPA200003154;

შესყიდვის ობიექტი: 39100000 – ავეჯი;

მიმწოდებელი: შპს „ოთ-მა ფურნიტურე“ (ს/ნ: 422738201);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის 2 ივნისს წარმოდგენილ იქნა ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ 2021 წლის 2 ივნისის №78-01211532131 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №4373), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ოთ-მა ფურნიტურეს“ (ს/ნ: 422738201) მიერ SPA200003154 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2020 წლის 31 დეკემბრის № 18ტ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის otr555@yahoo.com მეშვეობით, 2021 წლის 8 ივნისის №1917 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2021 წლის 15 ივნისსა და 2 ივლისს მიმწოდებელმა სააგენტოში წარმოადგინა 2021 წლის 15 ივნისისა და 2 ივლისის განმარტებები (რეგისტრაციის № 4725 და № 5298) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, ვალდებულებების შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდის, ასევე არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რის გამოც მას დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა. ამასთან, ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პანდემიის გათვალისწინებით დაწესდა უქმე დღეები. ამასთან, მიმწოდებელს საქონელი უნდა შეესყიდა თურქეთში, სადაც პანდემიის ფონზე ვითარება გართულდა და მომწოდებელ კომპანიას შეკვეთილი საქონლის დასამზადებლად ესაჭიროებოდა დამატებით დრო. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას შესთავაზა განსხვავებული პარამეტრების მქონე საქონლის მიწოდება, რაზეც უარი მიიღო. ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას განემარტა, რომ იტალიური კომპანია მიმწოდებელს მიაწვდიდა შეთანხმებული პარამეტრების მქონე საქონელს, თუმცა აღნიშნული მოითხოვდა დამატებით დროს, რაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ ასევე არ გაითვალისწინა. მიმწოდებელმა მოითხოვა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელება და ზეპირი მოსმენის დანიშვნა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2020 წლის 31 დეკემბერს, SPA200003154 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ“ და შპს „ოთ-მა ფურნიტურემ“ (ს/ნ: 422738201) გააფორმეს № 18ტ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მისი გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 22 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2021 წლის 30 აპრილი.

4.2. მიმწოდებლის 2021 წლის 24 თებერვლის წერილით, პანდემიიდან გამომდინარე არსებული შეფერხებების გათვალისწინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ვალდებულებების შესრულების ვადის 25 დღით გაზრდა.

4.3. ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ ადმინისტრაციის უფროსის 2021 წლის 1 მარტის №78-01210603474 მოხსენებითი ბარათით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მიმწოდებლის 2021 წლის 24 თებერვლის წერილში დასახელებული მოთხოვნის დაკმაყოფილება.

4.4. სატენდერო კომისიის 2021 წლის 1 მარტის № 4 სხდომის ოქმით, გადაწყდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდა.

4.5. მხარეთა შორის გაფორმებული 2021 წლის 1 მარტის № 18ტ-2 შეთანხმების აქტით, ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 85 კალენდარული დღე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2021 წლის 31 მაისი.

4.6. მიმწოდებლის 2021 წლის 18 მარტის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მისაწოდებელი საქონელი უნდა ჩამოსულიყო თურქეთიდან, ხოლო პანდემიის გათვალისწინებით თურქეთში საწარმოები შეზღუდულად მუშაობდნენ. ამასთან, შეთანხმებული პარამეტრების მქონე დასაკეცი სკამების დამზადება მოითხოვდა საკმაოდ დიდ დროს. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას შესთავაზა განსხვავებული პარამეტრების (ზომის) სკამების მიწოდება, რაც არ აუარესებდა საქონლის ხარისხს.

4.7. მიმწოდებლის 2021 წლის 26 მარტის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მიმწოდებელი აგრძელებდა მუშაობას, რომ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიეწოდებინა შეთანხმებული პარამეტრების საქონელი ან მოეძიებინა შესაბამისი აკრეტიდაციის/სერტიფიკატის მქონე ექსპერტი, რომელიც დაადგენდა, რომ შეთავაზებული განსხვავებული პარამეტრების მქონე საქონელი არ იყო უარესი ხარისხის.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 29 მარტის №78-01210883443 წერილის თანახმად, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. ამავე წერილით, მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა, ვალდებულებების შესასრულებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა 2021 წლის 12 აპრილამდე და მიეცა გაფრთხილება.

4.9. შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 8 აპრილის № 78-01210981337 წერილით, მიმწოდებელს კვლავ მიეცა გაფრთხილება ვალდებულებების დამატებით განსაზღვრულ ვადაში შესრულებასთან დაკავშირებით.

4.10. მიმწოდებლის 2021 წლის 12 აპრილის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ პანდემიის გათვალისწინებით მიმწოდებელი ვერ ახერხებდა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის შეთანხმებული პარამეტრების საქონლის მიწოდებას. ამასთან, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას შესთავაზა განსხვავებული პარამეტრების მქონე საქონელი, თუმცა ვერ მოიძია აკრედიტებული ექსპერტი, ვინც დაადასტურებდა, რომ შეთავაზებული საქონლის ხარისხი არ იყო შეთანხმებულზე უარესი. ამავე წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მიმწოდებელი აქტიურად ცდილობდა ვალდებულებების შესრულებას, რასაც შეძლებდა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდით).

4.11. მიმწოდებლის 2021 წლის 13 აპრილის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მისაწოდებელი საქონელი იწარმოებოდა თურქეთში, ხოლო პარტნიორი კომპანია შეფერხებით მუშაობდა პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით. ამავე წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა თანხმობა ვალდებულებების ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შესრულებასთან დაკავშირებით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდით.

4.12. სატენდერო კომისიის 2021 წლის 14 აპრილის №5 სხდომის ოქმით, დაკმაყოფილდა მიმწოდებლის 2021 წლის 13 აპრილის წერილში დასახელებული მოთხოვნა.

4.13. მიმწოდებლის 2021 წლის 31 მაისის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ შეთანხმებული პარამეტრების საქონლის დამზადება შეუძლებელი იყო განსაზღვრულ ვადაში პანდემიით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით, რის გამოც მომწოდებელმა კომპანიამ მიმწოდებელს შეთანხმებული პარამეტრების მქონე საქონლის დამზადებაზე უარი განუცხადა. ამასთან, მიმწოდებელმა მოიძია ქართული კომპანია, რომელიც შეკვეთიდან 45 დღის განმავლობაში მიაწვდიდა მას შეთანხმებული პარამეტრების მქონე საქონელს. ამდენად, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა – მისაწოდებელი საქონლის მწარმოებელი ქვეყნის შეცვლა, საქონლის მწარმოებელი კომპანიის შეცვლა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა.

4.14. სატენდერო კომისიის 2021 წლის 1 ივნისის №6 სხდომის ოქმის თანახმად, მიმწოდებელმა 2021 წლის 31 მაისს მოითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, რაზეც მას უარი ეთქვა. ამასთან, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ვალდებულებები და ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა 2021 წლის 31 მაისს.

4.15. შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 1 ივნისის № 78-01211523096 წერილით, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებელს ეცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ოთ-მა ფურნიტურე“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, მიმწოდებლის განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, არ დგინდება პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გავლენის ფაქტი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მომწოდებელი კომპანიის მიერ მისაწოდებელი საქონლის დამზადებაზე უარის თქმა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან. რაც შეეხება განსხვავებული პარამეტრების მქონე საქონლის მიწოდებას, სააგენტო აღნიშნავს, რომ მიმწოდებელი ვალდებული იყო შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიეწოდებინა შეთანხმებული პარამეტრების მქონე საქონელი. რაც შეეხება ხელშეკრულების მოქმედების ბოლო დღეს – 2021 წლის 31 მაისს მიმწოდებლის მოთხოვნას ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, მიმწოდებელს, მისივე მოთხოვნის საფუძველზე გაეზარდა ვალდებულებების შესრულების ვადა, დაუწესდა დამატებით ვადა ვალდებულებების შესასრულებლად, რის შემდეგაც ასევე მისივე მოთხოვნით მიმწოდებელს უფლება მიეცა ვალდებულებები შეესრულებინა გაზრდილ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, თუმცა უშედეგოდ, ხოლო, მეორე მხრივ, ხელშეკრულების მოქმედების ბოლო დღეს საქონლის მწარმოებელი ქვეყნისა და მწარმოებელი კომპანიის ხელშეკრულებაში შეცვლის მოთხოვნაზე მიმწოდებლისთვის უარის თქმა არ წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამომრიცხავ გარემოებას. აღნიშნულის მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოიწურა ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სააგენტო დამატებით ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის მოთხოვნაზე მხარეთა ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-

ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სააგენტო წერილობით შეტყობინებას იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ამდენად, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენა სავალდებულო წესით არ იმართება. აღნიშნული, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, განეკუთვნება სააგენტოს უფლებამოსილებას და გამოიყენება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. სააგენტოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ასევე ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებაც, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში, სააგენტომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ზეპირი მოსმენის ჩატარება ან/და ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაზრდა.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ოთ-მა ფურნიტურე“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ოთ-მა ფურნიტურე“ (ს/ნ: 422738201) 2021 წლის 30 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე